საინვესტიციო პოლიტიკის როლი უცხოური კაპიტალის მოზიდვის პროცესში

თეა კვაბზირიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: t.kvabziridze@gmail.com
ლაშა ბაბრატიონი
აზერბაიჯანის სახ. ეკონომიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
E-mail: lashab1989@gmail.com
ნატო ნატროშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: natroshvili1981@gmail.com

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საინვესტიციო პოლიტიკის როლი უცხოური კაპიტალის მოზიდვის პროცესში. გაანალიზებულია მე–20 საუკუნის 90–იანი წლების უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების სტაბილურობის საკითხები. ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მონაწილების პერსპექტივები სხვადასხვა მიმართულებით. შეფასებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმზიდველობა, ეკონომიკური მნიშვნელობა და მათი შეფასება. განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაში და მასთან დაკავშირებული ხელისშემშლელი ფაქტორები. უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირების უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელი ქმედებების მნიშვნელობა.

ძირითადი სიტყვები: უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკა, მსოფლიო, მომსახურება.

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების როლი, სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციამ განაპირობა საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო წარმოების ზრდა. რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ტექნოლოგიურ სფეროში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ხელი შეუწყო ბაზრების პრივატიზაციას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მიიღეს, უცხოური პირდაპირი ინვესტიციებს და წარმოების საშუალებებზე უცხოელთა საკუთრებას ისინი განიხილავდნენ ნეოკოლონიალიზმის ახალ ფორმად და კოლონიალიზმის გაგრძელებად. დამოუკიდებელი ქვეყნების მთავრობებმა მოახდინეს უცხოლთა საკუთრებაში არსებული დარგების ნაციონალიზაცია, რაც გულისხმობდა ფაბრიკა–ქარხნებისა და საწარმოების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლას.

ამ პერიოდის განმავლობაში განვითარებული ქვეყნების უმეტესობა სიფრთხილით ეკიდებოდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადებს. ასეთ დიდ შემოდინებას აღიქვამდნენ საფრთხედ და გიგანტური კომპანიების მიერ მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმეებში ჩარევის შიშს ქმნიდა. აღნიშნული განპირობებული იყო განვითარებადი ქვეყნების კოლონიური გამოცდილებით.

ძირითადი ტექსტი

მე–20 საუკუნის 90–იან წლბში, კაპიტალდაბანდების სხვა ფორმებთან შედარებით უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შედარებით სტაბილურ ინვესტიციათა ნაკადებს წარმოადგენდა, ამიტომ განვითარებადმა ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს შიდა საინვესტიციო პოლიტიკის გატარება იმისათვის, რომ შეემცირებინათ შეზღუდვები უცხორ კაპიტალზე და მაქსიმალურად გაეზარდათ მოგება ქვეყანაში უცხოელ ინვესტორთა არსებობით.[1]

უცხოური კაპიტალის მოზიდვა ნებისმიერი ეკონომიკური სისტემისათვისაა დამახასიათებელი. XX საუკუნის ბოლოს მსოფლიო ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების ზრდამ ძალზედ მაღალი აქტივობით იჩინა თავი. 1980-1997 წლებში მარტო პირდაპირი ინვესტიციების საშუალო წლიური მატების ტემპი 13%-ს შეად-

[1] დისერტ. ჯანჯაღავა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე) გვ. 16-17.



წყარო: www.geostat.ge

გენდა, მაშინ, როცა მსოფლიო ექსპორტი და მთლიანი შიდა პროდუქტი ამავე პერიოდში 7-7%-ით იზრდებოდა. 1998-2000 წლებში პირდაპირი ინვესტიციების საშუალო წლიურმა ზრდამ თითქმის 50% შეადგინა და 2000 წლის განმავლობაში პიკს - 1,5 ტრლნ აშშ დოლარს, მიაღწია. თუმცა, 2001 წლისათვის ეს მაჩვენებელი თითქმის განახევრდა და 729,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც სავარაუდოდ 90-იან წლებში რუსეთში, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში განვითარებულ ფინანსურ კრიზისებს უკავშირდება.

ამასთან, მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ უცხოური კაპიტალის ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სამსახურში ჩაყენება მხოლოდ საინვესტიციო ნაკადების სწორი მართვის საფუძველზეა შესაძლებელი.

როგორც ცნობილია, უცხოელი ინვესტორი კაპიტალურ რესურსებს აბანდებს მხოლოდ სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომლებიც თავის მხრივ ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდებიან. აქედან გამომდინარე, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ როდესაც საუბარია საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი შემოსვლა ქვეყანაში მოხდება მხოლოდ ადგილობრივი კაპიტალის რეალურად ამოქმედების პირობებში.[2]

ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის მიმზიდველობაზე, რაც განაპირობებს უცხოელი ინვესტორის მიერ კაპიტალური დაბანდებების განახორციელებას სხვადასხვა მიმართულებით, ეროვნულ, რეგიონალურ, საერთაშორისო პროექტებში.

უცხოური ინვესტიციები ძირითადად შეიძლება დაიყოს პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოსილნი არიან გარკვეული სტაბილურობის ელფერით, ვინაიდან ისინი ხელს უწყობენ საინვესტიციო პროცესების აქტივობას, მართვისა და მარკეტინგული სრულყოფილი მეთოდების დანერგვას, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის ზრდას, საექსპორტო მრეწველობის განვითარებას, თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და სხვ., რისი თქმაც ნაკლებად შეიძლება პორტფელურ ინვესტიციებზე.

თუ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში კაპიტალის გატანა მყისიერად შეუძლებელია, პორტფელური ინვესტიციების დროს კაპიტალის მოძრაობამ შეიძლება დიდი უწესრიგობები გამოიწვიოს მსოფლიო ეკონომიკაში, ვინაიდან მოგების მაღალი განაკვეთის ძიების პროცესში მათ შეუძლიათ სწრაფად გადაინაცვლონ ერთი ქვეყნიდან მეორეში და ამრიგად გამოიწვიონ საკმაოდ მძიმე ფინანსური შედეგები იმ ქვეყნებში, რომლებსაც ისინი დატოვებენ.

პირადაპირი და პორტფელური ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი, არსებითად ერთიანია. როგორც ერთი, ისე მეორე წარმოადგენს კაპიტალის, როგორც თვითმზარდი ღირებულების მოძრაობას. და მაინც ერთი განსხვავდება მეორისაგან ინდივიდუალური მიზნებითა და ინტერესებით, პროცესში მონაწილეთა ურთიერ-

[2] ოფიციალური საიტი: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

თობით. შესაბამისად სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში საზოგადოებამ მთლიანად მიიღოს მაქსიმალური უკუგება ამ ურთიერთობის ყოველი მონაწილის ქმედებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში სახელმწიფოს მოქმედების მეთოდები განსხვავებული იქნება.[3]

მიუხედავად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარკვეული მიმზიდველობისა, მათი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს. ერთის მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლა ხელს უწყობს შიდა რესურსების დეფიციტის შემცირებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ბიზნესის წარმოების ახალი სტანდარტების დანერგვას, ხოლო მეორეს მხრივ, უცხოელი ინვესტორები, რომელთა როლშიც ხშირად გვევლინებიან ტრანსნაციონალური კომპანიები აქტიურად ერევიან ქვეყნის საკანონმდებლო პროცესებში, იგნორირებას უწევენ ქვეყნის ეკოლოგიურ თუ შრომით კანონმდებლობას და საჭირეობის შემთხვევაში არც კორუფციულ გარიგებებზე ამბობენ უარს ადგილობრივ ჩინოვნიკებთან.

კიდევ ერთი საფრთხე, რაც უკავშირდება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, არის ის, რომ მათ ახასიათებთ ადგილობრივი მრეწველობის „გამოდევნის ეფექტი", რომელიც ორი ფორმით იჩენს თავს:

1. ასახავს მდგომარეობას სასაქონლო ბაზარზე, როდესაც ტრანსნაციონალური კომპანიების ფილიალები იყენებენ საკუთარ კონკურენტულ უპირატესობებს და ავიწროებენ ადგილობრივი კომპანიების განვითარებას.

2. როდესაც საფინანსო ან სხვა რესურსების ბაზრებზე ტრანსნაციონალური კომპანიების ფილიალები ცდილობენ შეისრუტონ ამ რესურსების ძირითადი ნაწილი და ადგილობრივ კომპანიებს შეუზღუდონ მათი გამოყენების შესაძლებლობა.

უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირების უზრუნველყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ ნაბიჯებს:

1. ქვეყნის, მისი ცალკეული რეგიონებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საინვესტიციო შესაძლებლობის საინფორმაციო უზრუნველყოფა;

2. პროექტების დაფინანსების, მიწების გამოყოფის და სხვა მოსახერხებელი სქემის ჩამოყალიბების შესაძლებლობა;

3. პროტექციონისტული ტარიფები იმ საქონელზე, რომელსაც აწარმოებს უცხოელი ინვესტორი;

4. საინვესტიციო პროექტისათვის საჭირო ძირითადი საშუალებების იმპორტის გადასახადისგან განთავისუფლება;

5. „სავალუტო კორიდორის" შემოღება, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცევს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს;

6. საგადასახადო შეღავათები;

7. საკანონმდებლო გარანტიები.[4]

დასკვნა

საინვესტიციო პოლიტიკის როლი უცხოური კაპიტალის მოზიდვის პროცესში. გაანალიზებულია მე–XX საუკუნის 90–იანი წლების უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების სტაბილურობის საკითხები. ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მონაწილების პერსპექტივები სხვადასხვა მიმართულებით. შეფასებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმმზიდველობა, ეკონომიკური მნიშვნელობა და შეფასება. განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაში და მასთან დაკავშირებული ხელისშემშლელი ფაქტორები. ასევე, უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირების უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელი ქმედებების მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დისერტ. ჯანჯაღავა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე) გვ. 16–17.

2. ოფიციალური საიტი: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

3. ლ. ქოქიაური, ინვესტიციების თეორიული გენეზისი 2007 გვ. 176.

[3] ლ. ქოქიაური, ინვესტიციების თეორიული გენეზისი, 2007, გვ. 176.

[4] ოფიციელური ვებ. გვერდი: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

РОЛЬ ИНВЕСТИЦИОННОЙ ПОЛИТИКИ В ПРОЦЕССЕ ПРИВЛЕЧЕНИЯ ИНОСТРАННОГО КАПИТАЛА

ТЕА КВАБЗИРИДЗЕ - Д.Э.Н.
E-mail: t.kvabziridze@gmail.com
ЛАША БАГРАТИОНИ - докторант Азербайджанского гос. экон. университета
E-mail: lashab1989@gmail.com
НАТО НАТРОШВИЛИ - докторант ГТУ
E-mail: natroshvili1981@gmail.com

РЕЗЮМЕ

В работе рассмотрена роль инвестиционной политики в привлечении иностранного капитала. Проанализированы вопросы стабильности инвестиционных потоков в 90-ые годы прошлого столетия, разносторонние перспективы участия иностранного капитала в национальной экономике. Оценена привлекательность иностраных инвестиций, их экономическое значение. Рассмотрена роль прямых иностранных инвестиций в развитии отечественной промышленности и препятствующие факторы, рассмотрено действенное значение стимулирования притока иностранного капитала.

THE ROLE OF INVESTMENT POLICY IN THE PROCESS OF ATTRACTING FOREIGN CAPITAL SUMMARY

TEA KVABZIRIDZE - doctor of Economical Scienses
E-mail: t.kvabziridze@gmail.com
LASHA BAGRATIONI - PhD of Azerbaijan's State Economical University
E-mail: lashab1989@gmail.com
NATO NATROSHVILI - PhD of GTU
E-mail: natroshvili1981@gmail.com

Summary

The paper considers the role of the investment policy to attract foreign capital; analyzed issues of stability of investment flows in the 90s of the last century, versatile prospects of participation of foreign capital in the national economy. Evaluate the attractiveness of a foreign investment, their economic importance. The role of foreign direct investment in the development of domestic industry and impeding factors considered effective value of promoting the flow of foreign capital.